ხელშეკრულება N-15
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული ტენდერი)

თბილისი 24.09.2018წ.

ერთი მხრივ ა(ა)იპ „2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი", შემდგომში - შემსყიდველი, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზურაბ აზმაიფარაშვილის** და მეორე მხრივ **"შპს პროვაიდერ.ჯი-provider.ge"** შემდგომში - მიმწოდებელი, წარმოდგენილი მისი დირექტორის **სალომე კიკვაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საკანცელარიო საქონლის (CPV-30100000; 22800000) შესყიდვა ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად - შემდგომში საქონელი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს **4 432.85 (ოთხი ათას ოთხასოცდათორმეტი ლარი და ოთხმოცდახუთი თეთრი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ერთეულისა და ჯამური ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ შესრულებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

ბ) საქონლის მიწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობებით.

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მიწოდებული საქონელი, ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

6.2. მიმწოდებელი ვალდებული უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ქ. ბათუმში (მისამართი მიმწოდებელ ორგანიზაციას ეცნობება ელ. ფოსტის მეშვეობით).

6.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებსა და შემსყიდველის მოთხოვნებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

7.2. კონტროლს განახორციელებს: ა(ა)იპ „2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის" ტექნიკური კოორდინატორი პაატა კომახიძე.

8. მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მიწოდებული საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

8.3. საქონლის მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს: ა(ა)იპ „2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის" ტექნიკური კოორდინატორი პაატა კომახიძე.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად..

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული ნსაქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშფაქტურის წარმოდეგნიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვან შესრულებისთვის შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.ნ.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების ცვლილების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისგან.

15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თანავე და მოქმედებს 2018 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით.

16.ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ „2018 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი"	შპს პროვაიდერ.ჯი-provider.ge
მის: თბილისი, ნ. ყიფშიძის ქ. N10, ბ.N21;	მის: ქ. ბათუმი;
საიდენტიფიკაციო კოდი: 405 072 219	ტელ: 571 33 32 22;
ტელ: 595 29 27 47;	ს/კ: 445 427 119;
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. NGE24 NB 0330 1002 0016 5022;	ბანკი: საქართველოს ბანკი;
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22;	ბანკის კოდი: BAGAGE22;
	ანგარიში: GE85BG0000000929934400;
დირექტორი	დირექტორი
ზურაბ აზმაიფარაშვილი_____	სალომე კიკვაძე_____

დანართი N1

№	დასახელება	საზომი ერთეული	cpv-კოდი	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	151/026 ჩასანიშნი წებოვანი 76x7688 400მ T4-400 (6957990901258)	შეკვრა	22816300	10.00	2.20	22.00
2	112/006 სტეპლერის ტყვია დიდი N24/6 # 0012 (DELI)	ცალი	30124400	5.00	0.38	1.90
3	110/022 სტეპლერი 24/6 0368 (6921734903686)	ცალი	30197320	2.00	3.50	7.00
4	119/032 ტექსტ მარკერი HL 710	ცალი	30192125	50.00	0.60	30.00
5	121/1268 დაფის მარკერი EU00130 Blue, DELI	ცალი	30192125	12.00	0.60	7.20
6	121/1251 დაფის მარკერი EU00120 Black, DELI	ცალი	30192125	13.00	0.60	7.80
7	106/009 ფაილი A4 0.30 (100ც) HL-30330	შეკვრა	22852100	5.00	3.20	16.00
8	105/033 საქაღალდე 100 ფაილით GL100 (6953229502265)	ცალი	22852000	500.00	3.50	1,750.00
9	160/7266 დაფის მაგნიტები 8726	ცალი	30195700	150.00	0.30	45.00
10	159/005 დაფის საწმენდი სპრეი ჩვარით 7859 (6921734978592)	შეკვრა.	30195700	5.00	6.00	30.00
11	105/011 პაპკა პლასტიკური ღილაკით A4 XH209A (6953229501091)	ცალი	22852000	5.00	0.50	2.50
12	158/003 დაფა მაგნიტური სადგამით 60*90 7890	ცალი	30195000	1.00	110.00	110.00
13	158/006 დაფა მაგნიტური სადგამით 90*120 ორმხრივი 7882,DELI	ცალი	30195000	1	150.00	150.00
14	167/009 ფლიფჩარტის ქაღალდი E-7025/301	შეკვრა	30197621	4.00	7.50	30.00
15	ბრენდირებული კონვერტი	ცალი	30199230	3,000.00	0.25	750.00
16	ბრენდირებული საქაღალდე	ცალი	22852000	595.00	1.50	892.50
17	ლამინირებული ქაღალდი შესაბამისი კომისიების დასახელებით	ცალი	30197630	570.00	0.75	427.50
18	160გრ. ცარცის ქაღალდი A6 ზომის	ცალი	30199710	200.00	0.20	40.00
19	128/022 კლიფსი მეტალის 5188 შეკვრაში (12ცალი) 38561 (6935205385611)	შეკვრა	30197220	7.00	3.90	27.30
20	110/022 სტეპლერი 24/6 0368 (6921734903686)	ცალი	30197320	2.00	8.70	17.40
21	110/010 სტეპლერი, 23/10, 60მ # 0391 (DELI) (6921734903914)	ცალი	30197320	3.00	16.50	49.50
22	112/006 სტეპლერის ტყვია დიდი N24/6 # 0012 (DELI)	ცალი	30124400	5.00	0.40	2.00
23	112/004 სტეპლერის ტყვია N23/13 # 0013 (DELI) (6921734900135)	შეკვრა.	30124400	3.00	1.10	3.30
24	112/005 სტეპლერის ტყვია N23/23 # 0014 (6921734900142)	ცალი	30124400	3.00	2.20	6.60
25	129/002 სკრეპი N 5, 0050 (deli) (6921734900500)	შეკვრა	30197220	3.00	1.50	4.50
26	129/1504 სკრეპი №5 4001/50	შეკვრა.	30197220	3.00	0.95	2.85
	მთლიანი ჯამი					4432.85

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------